



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 328/ს
16/09/2022

328-21-4-202209161255



დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზაქათკარის მიმდებარედ, შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალის“ №2 საცხოვრებელი ბანაკის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალის“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზაქათკარის მიმდებარედ, №2 საცხოვრებელი ბანაკის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა განთავსებულია დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზაქათკარის მიმდებარედ, ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის მე-2 ლოტის მშენებლობის პროექტის ფარგლებში მოწყობილი №2 საცხოვრებელი ბანაკის სამხრეთით, დაახლოებით 20 მეტრში. გამწმენდი ნაგებობის განთავსების წერტილის GPS კოორდინატებია: X-461228, Y-4697658. გამწმენდი ნაგებობიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 900 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. მთიულეთის არაგვი (თეთრი არაგვი) - 250 მეტრით.

2021 წლის 9 დეკემბერს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალის“ ობიექტის ინსპექტირება, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79⁷ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება) შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №065257 ოქმი.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საცხოვრებელი ბანაკის სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების გაწმენდა ხორციელდება „Topas 100“ ტიპის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის საშუალებით, რომლის წარმადობა შეადგენს 24 მ³/დღ-ს და გათვლილია 50 ადამიანზე. წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების მოცულობა, დასაქმებულთა რაოდენობისა და მოხმარებული წყლის დაახლოებით 10%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით, შეადგენს 6,588 მ³/დღ-ს.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, გამწმენდი ნაგებობა წარმოადგენს ხუთკამერიან სისტემას, რომელშიც ბიოლოგიური გაწმენდის პროცესი მიმდინარეობს ბიოქიმიური მიკროორგანიზმებით ორგანული ნივთიერებების დაშლით. საწყის ეტაპზე ჩამდინარე წყლები არსებული საკანალიზაციო ქსელის საშუალებით ხვდება მიძღებ კამერაში, სადაც ხორციელდება მექანიკური გაწმენდა და ბიოლოგიური დაჟანგვა. აღნიშნულის შემდეგ, ლამი თანაბრად გადაედინება აეროსაცავის კამერაში, სადაც აქტიური დაჟანგვით, ორგანული ნივთიერებები საბოლოოდ იშლება. შემდგომ, გაწმენდილი წყლის და აქტიური ლამის ნაზავი მიემართება მეორად სალექარში, სადაც ხდება ლამისა და წყლის ერთმანეთისაგან გამოყოფა. გაწმენდილი წყალი თვითდინებით გამოდის გამწმენდი ნაგებობიდან, ხოლო ლამი გროვდება გამწმენდი ნაგებობის სალექარში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, „Topas 100” ტიპის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის გავლის შემდეგ, ჩამდინარე წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლები შემდეგია: pH – 6.5-8.5; ჟმ - 25 მგ/ლ; ჟმ - 100 მგ/ლ; შეწონილი ნაწილაკები - 50 მგ/ლ; საერთო აზოტი - 13 მგ/ლ; საერთო ფოსფორი - 2 მგ/ლ.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული ჩამდინარე წყლები, 60 მეტრი სიგრძის და 20 მმ დიამეტრის მქონე მიწისქვეშა პოლიეთილენის გოფირებული მილის მეშვეობით, ჩადის მდ. მთიულეთის არაგვი. წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატებია: X-461198, Y-4697502.

როგორც უკვე აღინიშნა, სკრინინგის განცხადების თანახმად, გამწმენდი ნაგებობა და მისი ინფრასტრუქტურა უკვე მოწყობილია. შესაბამისად, ვინაიდან გამწმენდი ნაგებობა წარმოადგენს არსებულ ობიექტს და არ საჭიროებს დამატებითი სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაცია დაკავშირებულია არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნასთან, კერძოდ, გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირებისას წარმოიქმნება მცირე რაოდენობის (დაახლოებით 1-2 მ³/წელ) ლამი. გამწმენდი ნაგებობის სალექარში დაგროვილი ლამის გატანა ხდება ასენიზაციის მანქანებით, წელიწადში ერთხელ, შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, გამწმენდი ნაგებობის განთავსების ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გავრცელებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. გამწმენდი ნაგებობა მოწყობილია არსებული საცხოვრებელი ბანაკის ტერიტორიაზე, ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად სახეცვლილ ტერიტორიაზე, სადაც წარმოდგენილი არ არის ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი. ვიზუალური დათვალიერებით, ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ცხოველებისთვის ხელსაყრელი საბინადრო გარემო.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საქმიანობის ფარგლებში, გამწმენდი ნაგებობის განთავსების ტერიტორიაზე მოიხსნა დაახლოებით 4-5 მ³ მოცულობის ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, რომელიც დასაწყობდა ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის მე-2 ლოტის მშენებლობის პროექტის ფარგლებში ნიადაგის დროებითი განთავსებისათვის გამოყოფილ ადგილზე და შემდგომში გამოყენებული იქნება სარეკულტივაციო სამუშაოებისათვის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და

გადაგზავნილ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაცია საქმიანობის სპეციფიკის, მასშტაბის, ადგილმდებარეობისა და წარმადობის გათვალისწინებით, არ გამოიწვევს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.6 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზაქათკარის მიმდებარედ, შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალის“ №2 საცხოვრებელი ბანაკის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალი“ ვალდებულია, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და დუშეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო